სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
95122199728822

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N220381427

რეგისტრაციის თარიღი
07.04.2022 წ

ნოტარიუსი: ზაალ ზაქარაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი. N 47
ტელეფონი: 595 07 52 44

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას ოცდაერთი წლის შვიდ აპრილს მე, ნოტარიუსს საქართველოში ზაალი ზაქარაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი N 47-ში, მომმართა პაატა გაზაკაშვილმა რომელმაც განაცხადა, რომ იგი არის შპს ,,რედ კაფე"-ს (ს/ნ: 404875328) დირექტორი და სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა პაატა გაზაკაშვილმა (დაბ. თარიღი: 06.01.1968წ, დაბადების ადგილი საქართველო, თბილისი, პ/ნ 01026010485, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ბახტრიონის ქუჩა, N 28, ბინა 83-ში) მომმართა.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ იგი არის შპს ,,რედ კაფე"-ს (ს/ნ: 404875328) დირექტორი თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22040581, 06/04/2022 19:35:31;

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რის შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას, მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, პაატა გაზაკაშვილმა (პირადი ნომერი: 01026010485) ამ მინდობილობით უფლებამოსილება მივანიჭე გიორგი კორსავას (პირადი ნომერი: 01007011205) ჩემი, როგორც შპს ,,რედ კაფე"-ს (ს/ნ: 404875328) სრულუფლებიანი დირექტორის სახელითა და ხარჯით, სრულად განახორციელოს კომპანიის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებანი:

აღნიშნული დავალების განხორციელების მიზნით რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, მათ შორის, წარმოადგინოს მარწმუნებელი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, მათ შორის, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, ნებისმიერ საბანკო და ფულად-საკრედიტო ორგანიზაციასთან, ნებისმიერ მესამე პირთან. წარადგინოს განცხადებები (საჩივარი), წერილები, აქტები, საბუთები, გარიგებები, დოკუმენტები; დაარეგისტრიროს განცხადებები, წერილები, აქტები, დოკუმენტები, გარიგებები; გამოითხოვოს და მიიღოს დოკუმენტები, ინფორმაცია, საბუთები; დადოს გარიგებები/ხელშეკრულებები, ხელი მოაწეროს გარიგებებს/ხელშეკრულებებს, დამოუკიდებლად და თავისუფლად განსაზღვროს მათი შინაარსი და ნებისმიერი პირობა; საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება. დადოს ხელი მოაწეროს და დაარეგისტრიროს გარიგებანი/ხელშეკრულებანი, მათ შორის, უძრავი/მოძრავი ნივთების ნასყიდობის ხელშეკრულებანი, იჯარისა და ქირავნობის, გირავნობისა და იპოთეკის, თავდებობისა და სესხის ხელშეკრულებები, გააფორმოს კრედიტის ან/და სხვა საბანკო/საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულება (მათ შორის, საბანკო გარანტიის, ფაქტორინგის, მოთხოვნის დათმობის, ოვერდრაფტის, საკრედიტო ხაზის, აკრედიტივის ხელშეკრულებები (ასევე, მათი ცვლილებები, დამატებები, გაუქმებები და ა.შ.)) და/ან ნებისმიერი სხვა ტიპის სანივთო ან ვალდებულებითი გარიგება. გადაიხადოს მომსახურების საფასური, მიიღოს შესაბამისი უფლებების დამდგენი დოკუმენტები. იყოს წარმომადგენელი და განკარგოს საქართველოში მოქმედ ნებისმიერ ფინანსურ ორგანიზაციასა და ბანკში (მათ შორის: სს ,,თიბისი ბანკში", სს ,,საქართველოს ბანკში", სს ,,ლიბერთი ბანკში", სს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯიაში", სს ,,ბანკი ქართუში", სს ,,ფინკა ბანკი საქართველოში", სს ,,ბაზისბანკში", სს ,,პროკრედიტ ბანკში", სს ,,სილქ როუდ ბანკში", სს ,,ზირაათ ბანკი საქართველოში", სს იშ ბანკი საქართველოში", სს ,,ტერაბანკში", სს ,,ხალიკ ბანკი საქართველოში", სს ,,პაშა ბანკი საქართველოში", სს ,,კრედო ბანკში") არსებული კომპანიის საბანკო ანგარიშები (მათ შორის, აწარმოოს გადარიცხვები; კონვერტაცია, შეიტანოს ან/ და გაიტანოს თანხა (მათ შორის, დეპოზიტზე განთავსებული თანხისაც), დეპოზიტზე განათავსოს, დაბლოკოს (დაჯავშნოს), ჩეკი გამოსცეს/გააუქმოს და მესამე პირს გადასცეს, გახსნას/მიიღოს/გააუქმოს/გაასხვისოს სადეპოზიტო სერთიფიკატი; მიიღოს ამონაწერები, ცნობა დავალიანების შესახებ, მიიღოს ან/და შეცვალოს პაროლი, შეუკვეთოს პლასტიკური ბარათები, ჩართოს ინტერნეტ ბანკი, ისარგებლოს ინტერნეტ ბანკის სერვისის განახლებით, სრულად მიიღოს ინტერნეტ ბანკის მომსახურება და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია, მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტაცია, მიიღოს ან/და შეცვალოს დიჯიპასის პაროლი, შეასრულოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია, ხელი მოაწეროს ნებისმიერ საბანკო ოპერაციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს/განცხადებას/საბუთს; მიიღოს ნებისმიერი ის დოკუმენტი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება საბანკო ანგარიშების შეუფერხებლად განკარგვა); საქართველოში მოქმედ ნებისმიერ ფინანსურ ორგანიზაციასა და ბანკში გახსნას და დახუროს საბანკო ანგარიშები; დაარეგისტრიროს, მართოს, ისარგებლოს, შეცვალოს, გააუქმოს ნებისმიერი პროდუქტი/მომსახურება/სერვისი (მათ შორის, საინკასაციო, ელექტრონული, სატელეფონო და ა.შ.);

მიაწოდოს, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მათ შორის კონფიდენციალური) და/ან დოკუმენტი/საბუთი (მათ შორის, ცნობა, ამონაწერი, თანხმობა და ა.შ.); დადოს ნებისმიერი გარიგება, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს/ხელშეკრულებას/შეთანხმებას და შეასრულოს ყველა ქმედება, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალებების შესრულებასთან.

რწმუნებული იცავს მარწმუნებლის ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს, ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს ყველა ქვეყნის ყველა ინსტანციის სასამართლოში, მათ შორის, თბილისის საქალაქო სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოებში, საკასაციო სასამართლოში, შესაბამისი სისხლის, სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოებისას, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობაში. რწმუნებული უფლებამოსილია ჩემი, როგორც დირექტორის სახელით შეიტანოს სასარჩელო განცხადება სასამართლოში და ყველა კომპეტენტურ დაწესებულებაში, გადაიხადოს/დაიბრუნოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერი ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და საფუძველი, გაზარდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი. ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით მინიჭებული უფლებით, კერძოდ, წარადგინოს აღსასრულებლად სააღსრულებლო ფურცელი და მიიღოს მონაწილეობა სააღსრულებო მოქმედებებში. სააღსრულებო ფურცლის აღსრულებამდე, ასევე ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებებით და განახორციელოს მარწმუნებლის სრული წარმომადგენლობა. დაამთავროს საქმე მორიგებით.

რწმუნებული უფლებამოსილია იყოს წარმომადგენელი სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრად განვითარების სამინისროში, სსიპ ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოში, შინაგან საქმეთა სამინისტროში და მისდამი დაქვემდებარებულ სამსახურებში, პროკურატურაში, პოლიციაში, პატრულში, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, აგრეთვე, საარბიტრაჟო სამსახურთან (კერძო არბიტრაჟი), სააღსრულებლო ბიუროსთან, სანოტარო ბიუროში, ეროვნულ არქივში, იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, მერიაში, ლეგალიზაციის სამსახურში, გამგეობაში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, (შესაბამისი რაიონის), ადგილობრივ თვითმმართველობაში არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტში, სახელმწიფო ბაჟის გადახდისა და დაბრუნების უფლებით ყველა კომპეტენტურ ორგანოში, იგი უფლებამოსილია შეიტანოს განცხადება, გამოითხოვოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტები, მიიღოს მონაწილეობა აუქციონზე და გამოსახლებაში.

აღნიშნული დავალების შესრულების ფარგლებში რწმუნებულს უფლება აქვს იყოს ჩემი, როგორც დირექტორის სრულუფლებიანი წარმომადგენელი და შეასრულოს ნებისმიერი სახის იურიდიული მოქმედება, რომელიც დავალების განსახორციელებლად იქნება საჭირო.

არავინაა უფლებამოსილი ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. რწმუნებული უფლებამოსილია აღნიშნული უფლებამოსილებები განახორციელოს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ.

მინდობილობა ძალაშია 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მესამე პირზე გადანდობის უფლებით.

მინდობილობა დამოწმებულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცა მხარეს, ხოლო ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში.

გადახდილია საზღაური ათი ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31–ე მუხლისა აგრეთვე დღგ 1,80 ლარი **(თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის)** და ორი ლარი თანახმად 39 მუხლისა დღგ-ს ჩათვლით. სულ გადახდილია საზღაური 13,80 ლარი.

პაატა გაზაკაშვილი

ნოტარიუსი: ზაალი ზაქარაშვილი


ზუსტია და დანომრილია
ფურცლად
ნოტარიუსი: